



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 41

რუსთავი

12.03.2020წ.

"საგაზაფხულო არდადეგების გამოცხადების შესახებ" სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის #35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე და 63-ე მუხლების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 მარტის #501 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 1.1 გამოცხადდეს საგაზაფხულო არდადეგები პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის 2020 წლის 02 მარტიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით;"
 - 1.2 საგაკვეთილო პროცესი განახლდეს 2020 წლის პირველი აპრილიდან;"
 - 1.3 დაევალოს სასწავლო პროცესის მენეჯერს კორექტირებული საგაკვეთილო ცხრილის წარმოდგენა 2020 წლის 25 მარტამდე;"
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს IT სპეციალისტს დავით მარანელს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი ბოსტანქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი

